უწმინდესი პატრიარქის კირილეს მილოცვა ფილიპოპოლისის მიტროპოლიტ ნიფონს ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მუდმივ წევრად არჩევასთან დაკავშირებით

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ ფილიპოპოლისის მიტროპოლიტ ნიფონს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის წარმომადგენელს, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მუდმივ წევრად არჩევა მიულოცა.

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის წარმომადგენელს, მოსკოვში ანტიოქიის მეტოქიონის წინამძღვარს, ფილიპოპოლისის მიტროპოლიტს, მაღალყოვლადუსამღვდელოესს ნიფონს

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ძვირფასო მეუფევ!

სიხარულით მივიღე ცნობა იმ მაღალი პატივის შესახებ, რომელიც თქვენი მრავალი დამსახურების გათვალისწინებით ანტიოქიის წმინდა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოგანიჭათ, – იყოთ მისი წმინდა სინოდის მუდმივი წევრი.

ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში, თქვენი ყოფნა რუსეთში აღიქმება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა და მორწმუნეების მიერ, როგორც იმ მიწისგან კურთხევა, სადაც ქრისტეს მოწაფეები პირველად იწოდნენ ქრისტიანებად.

შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ თქვენი პირადი წვლილი რუსეთისა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობების განვითარებაში მართლაც ისტორიული ხასიათს ატარებს.

დაე, ყოვლისმომნიჭებელმა ღმერთმა თავისი დაუშრეტელი წყალობიდან გარდამოავლინოს თქვენზე ძლიერი ჯანმრთელობა, სულიერი სიმშვიდე და მოუკლებელი დახმარება ეკლესიის სამკალში შემდგომი ნაყოფიერი მსახურებისათვის.

უფლისმიერი სიყვარულით

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88230/